



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS  
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

მეხუთე სექცია

საქმე „როსტომაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“  
(საჩივარი № 13185/07)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

8 ნოემბერი 2018

*ეს გადაწყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში. იგი შეიძლება დაექვემდებაროს რედაქციულ გადასინჯვას.*



საქმეზე „როსტომაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეხუთე სექცია) პალატამ, შემდეგი შემადგენლობით:  
 ანგელიკა ნუსბერგერი, *პრეზიდენტი*,  
 იონკო გროზევი,  
 სიოფრა ო'ლირი,  
 მარტინშ მიტსი,  
 გაბრიელე კუჩკო-შტადლმაიერი,  
 ლატიფ ჰუსეინოვი,  
 ლადო ჭანტურია, *მოსამართლეები*,  
 და კლაუდია ვესტერდიკი, *სექციის განმწესრიგებელი*,  
 2018 წლის 9 ოქტომბერს გამართული დახურული თათბირის შემდეგ გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება, რომელიც იმავე დღეს იქნა მიღებული:

### პროცედურა

1. 2. საქმის საფუძველია საჩივარი (№13185/07) საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) 34-ე მუხლის შესაბამისად, 2007 წლის 7 მარტს ევროსასამართლოში წარადგინა საქართველოს მოქალაქემ, ბ-ნმა პაატა როსტომაშვილმა (შემდგომში „მომჩივანი“).

3. მომჩივანს წარმოადგენდა ქ-ნი ს. აბულაძე, ადვოკატი, რომელიც საქმიანობას თბილისში ახორციელებს. საქართველოს მთავრობას (შემდგომში „მთავრობა“) წარმოადგენდა სახელმწიფო წარმომადგენელი იუსტიციის სამინისტროდან ბ-ნი ლ. მესხორაძე.

4. მომჩივანი კერძოდ აცხადებდა, რომ შიდასახელმწიფოებრივმა სასამართლოებმა ვერ წარმოადგინეს თავიანთი გადაწყვეტილების საფუძველი სისხლის სამართლის დანაშაულში მისი დამნაშავედ ცნობის თაობაზე, რითაც რისკის ქვეშ დადგა სისხლის სამართლის პროცესის სამართლიანობა, რაც ეწინააღმდეგება კონვენციის მე-6 მუხლს.

5. 2009 წლის 20 აპრილს საჩივარი ეცნობა მთავრობას.

## ფაქტები

### I. საქმის გარემოებები

6. მომჩივანი დაბადებულია 1973 წელს და ცხოვრობს სოფელ ახალდაბაში.

#### ა. სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება მომჩივნის წინააღმდეგ

7. 2004 წლის 16 აგვისტოს მომჩივანი და ორი სხვა პირი („ძმები“) დააპატიმრეს დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო წარმოების, ფლობისა და ტარების ერთი და იმავე ბრალდებით.

8. მომჩივნისა და ძმების მიმართ წაყენებული ბრალდებები ემყარებოდა დაზარალებულის მამის, ბ-ნ ვ.ნ.-ს, მიერ მიცემულ ჩვენებას, რომელიც აცხადებდა, რომ დანაშაულის თვითმხილველი იყო, და სხვა მტკიცებულებას, სახელდობრ ხელყუმბარის ამოღებას ძმების სახლიდან, ისევე როგორც სასამართლო ექსპერტიზის რამდენიმე დასკვნას.

9. ბ-ნი ვ.ნ.-ს თანახმად, მის ოჯახსა და მომჩივნისა და ძმების შესაბამის ოჯახებს შორის დიდი ხნის მანძილზე მიმდინარეობდა დავა. ორ შემთხვევაში, ერთი ორი წლის წინ და მეორე მასზე ერთი წლით ადრე, სამივე ბრალდებული ემუქრებოდა და ცდილობდა მისი ოჯახის გამარცხვას, მაგრამ მან არჩია, რომ არ მიემართა პოლიციისთვის. 2004 წლის 14 აგვისტოს დილით ადრე ბ-ნი ვ.ნ. გავიდა სამუშაოდ ფერმაში სოფელთან ახლოს, სადაც მოგვიანებით მას შეუერთდა მისი ვაჟიშვილი. მკვლელობის დროს, დაახლოებით დილის 10 სთ-ზე, იგი მუშაობდა ფერმის სახლში, ხოლო მისი ვაჟიშვილი იყო გარეთ. როგორც კი გაიგონა სროლის ხმა, იგი მივარდა ფანჯარას და დაინახა, რომ მისი შვილი ეგდო მიწაზე შენობიდან ორმოცი-ორმოცდახუთი მეტრის მანძილზე. ერთ-ერთ ბრალდებულს ეკავა იარაღი, ხოლო მისი ძმა და მომჩივანი უყვიროდნენ მას რომ კიდევ გაესროლა, რაც მან კიდევაც გააკეთა. სამივე კაცი გაიქცა. ბ-ნი ვ.ნ. ჯერ მივარდა თავის ვაჟიშვილს, რომლის სხეულიც კანკალებდა, და შემდეგ გაიქცა სახლში, რომ მის დასახმარებლად მანქანა წამოეყვანა. როგორც კი შევიდა სახლში, გამოიტანა იარაღი. ზუსტად ამ მომენტში მასთან მოვიდნენ

მეზობლები, რომლებმაც შეატყობინეს მისი შვილის გარდაცვალების ამბავი. ბ-მა ვ.ნ.-მ არ უთხრა მათ არც ის, რომ იგი იმყოფებოდა დანაშაულის ჩადენის ადგილზე და თვითონ დაინახა თავისი შვილის მკვლელობა და არც ის, რომ იცოდა სროლის შესახებ. მან წაიყვანა ისინი ფერმის სახლში გარდაცვლილი შვილის სანახავად და მაშინვე იქ დაიწყო მტკიცება, რომ ძმებმა და მომჩივანმა მოკლეს იგი, მაგრამ არ ახსენა, რომ ამ დანაშაულის თვითმხილველი იყო. როგორც ჩანს, მოგვიანებით მან უთხრა პოლიციას, რომ ის შეესწრო ამ დანაშაულს.

10. სამმა მოწმემ, მამამ და ვაჟიშვილმა - ბ-ნმა მ.მ. უფროსმა და ბ-ნმა მ.მ. უმცროსმა და ბ-ნმა ს.პ.-მ მისცეს ჩვენება, რომ ისინი ცხოვრობდნენ იმავე სოფელში და იცნობდნენ დაზარალებულის ოჯახს, და 2004 წლის 14 აგვისტოს დილით ისინი მუშაობდნენ ფერმაში დანაშაულის ადგილიდან დაახლოებით ორასი მეტრის მანძილზე. არცერთ მათგანს არ ენახა დაზარალებულის მამა ფერმაში მკვლელობის წინ ან უშუალოდ მას შემდეგ, თუმცა მათი განცხადებით, დაზარალებულმა დაახლოებით დილის 9 საათზე ჩაუარა მათ ნაკვეთს და თხუთმეტი-ოცი წუთის შემდეგ მათ გაიგონეს სროლის ხმა და გაიქცნენ დანაშაულის ადგილისაკენ და როდესაც მივიდნენ, დაზარალებული უკვე გარდაცვლილი იყო. ბ-ნმა მ.მ. უფროსმა გააგზავნა თავისი ვაჟიშვილი, რომ შეეტყობინებინა ბ-ნ ვ.ნ.-სთვის მკვლელობის ამბავი. გზად მას შეუერთდა ბ-ნი დ.მ., რომელიც არის ბ-ნი ვ.ნ.-ის მეზობელი. მათ ნახეს ბ-ნი ვ.ნ. სახლში. ახალი ამბების გაგონებაზე ბ-ნმა ვ.ნ.-მ გამოიყვანა თავისი მანქანა და წაიყვანა ბ-ნი მ.მ. უმცროსი და ბ-ნი დ.მ. დანაშაულის ადგილზე ისე, რომ არც უხსენებია, რომ ის იყო მკვლელობის თვითმხილველი. როგორც კი ბ-ნი ვ.ნ. მივიდა დანაშაულის ადგილზე, დაიწყო მომჩივნისა და ძმების დადანაშაულება მკვლელობაში, ისე რომ არ უხსენებია, რომ იგი პირადად იყო მკვლელობის თვითმხილველი.

11. რამდენიმე მოწმის ჩვენების თანახმად, მომჩივანი დაინახეს სოფელში სადღაც დილის 9 და 10 საათს შორის. ქ-მა ტ.მ.-მ განაცხადა, რომ მან დაინახა იგი დილის 9.10 სთ-ზე. ბ-ნმა დ.კ.-მ განაცხადა, რომ მან ის დაინახა ქ-ნ ტ.მ.-ს ეზოში 2004 წლის 14 აგვისტოს დილით, მაგრამ ზუსტი დრო არ მიუთითებია. ბ-ნმა გ.გ.-მ გაიხსენა, რომ მან ნახა იგი სოფლის მაღაზიაში დილის 10 სთ-სა და 11 სთ-ს შორის; მან აღნიშნა, რომ მაღაზია მდებარეობდა დანაშაულის ადგილიდან დაახლოებით ორ კილომეტრში. მაღაზიის

მეპატრონემ ზუსტი დროის მითითების გარეშე განაცხადა, რომ მომჩივანმა მაღაზიაში დაჰყო ორიდან სამ საათამდე და თითქოს ახალი ამბავი მკვლელობის შესახებ მან იქ გაიგო. იმ დროს იგი არ იმყოფებოდა ძმებთან ერთად.

12. სასამართლო ბიოლოგიური ექსპერტიზის ანგარიშმა (N 140/162), რომელიც ბრალმდებლის დაკვეთით ჩაატარა შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ექსპერტიზის ცენტრმა 2004 წლის 2 სექტემბერსა და 22 ოქტომბერს შორის, წარმოადგინა ერთ-ერთი ძმის შარვალზე აღმოჩენილი სისხლის ლაქების ანალიზი. სისხლი იყო AB (II) ჯგუფის, იგივე ჯგუფის, რაც დაზარალებულს ჰქონდა, მაშინ როდესაც შარვლის მფობელის სისხლი იყო AB (IV) ჯგუფის.

13. ნიადაგის სასამართლო-ექსპერტიზის ანგარიშმა (N 1700/10), რომელიც ბრალმდებლის დაკვეთით ჩაატარა იუსტიციის სამინისტროს სასამართლო და სპეციალური ექსპერტიზის ცენტრმა 2004 წლის 7 სექტემბერსა და 6 ოქტომბერს შორის, წარმოადგინა ძმების ფეხსაცმელებზე აღმოჩენილი მიწის ანალიზი დანაშაულის ადგილზე და მის მახლობლად არსებული მიწის მიმართ. ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ძმების სახლიდან ჩამორთმეულ ფეხსაცმელებზე აღებული მიწის ნაკვალევს ჰქონდა იგივე მახასიათებლები, რაც დანაშაულის ადგილზე არსებულ მიწას.

14. 2006 წლის მაისში პირველი ინსტანციის სასამართლომ მომჩივანი დამნაშავედ ცნო დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობაში და 15 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ძმები დამნაშავედ ცნეს დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობასა და იარაღის უკანონოდ ფლობაში და სასჯელის სახედ და ზომად თექვსმეტი და ჩვიდმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდათ.

15. პირველი ინსტანციის სასამართლო მთლიანად დაეყრდნო ბ-ნ ვ.ნ.-ს ჩვენებას (იხ. პარაგრაფი 8 ზემოთ). შესაბამისად, მან დაადგინა, რომ დანაშაულის ქეშმარიტი მიზეზი იყო ამ სამ კაცს, დაზარალებულსა და მის ოჯახს შორის მუდმივად მიმდინარე დავა. შემდეგ იგი აღნიშნავდა, რომ დაახლოებით დილის 10 სთ-ზე მომჩივანი და ძმები მივიდნენ დაზარალებულის ფერმაში და მოკლეს იგი თოფით. ერთ-ერთი ბრალდებულის მიერ პირველი გასროლის შემდეგ მისი ძმა და მომჩივანი უყვიროდნენ მას, რომ კვლავ გაესროლა, რაც მან მართლა გააკეთა. თოფი არ იქნა ამოღებული. ამასთანავე ერთად სასამართლო ეყრდნობოდა

ბიოლოგიური ექსპერტიზისა (პარაგრაფი 11 ზემოთ) და მიწის ექსპერტიზის (პარაგრაფი 12 ზემოთ) შედეგებს და ექსპერტიზის სხვა მტკიცებულებებს, როგორცაა მაგალითად, გარდაცვლილის სხეულისა და ხელყუმბარის სასამართლო ექსპერტიზა, მაგრამ არ აკონკრეტებდა მათ რელევანტობას მომჩივნის ბრალდების მიმართ.

16. სასამართლომ არ გაითვალისწინა მომჩივნის არგუმენტი, რომ მას ჰქონდა ალიბი დანაშაულის სავარაუდო დროისთვის, რასაც ადასტურებდა დაცვის მხარის მოწმეთა ჩვენებებიც (პარაგრაფი 10 ზემოთ). სასამართლომ აღნიშნა, რომ ჩვენებები იყო შეუსაბამო, ურთიერთსაწინააღმდეგო და მიზნად ისახავდა ბრალდებულის დაცვას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან.

17. 2006 წლის 13 ივნისს მომჩივანმა გაასაჩივრა 2006 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება. ის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ სხვა ბრალდებულისაგან განსხვავებით, სისხლის სამართლის საქმეში არსებული ექსპერტიზის დასკვნის არცერთი ნაწილი არ ამხელდა მას, როგორც დანაშაულში პერსონალურად მონაწილე პირს. იგი ამტკიცებდა, რომ მტკიცებულების ერთადერთი ნაწილი, რომელიც მას აკავშირებდა მკვლელობასთან, იყო თვითმხილველის - დაზარალებულის მამის, მიერ მიცემული ჩვენება; თუმცა საექვო იყო ეს უკანასკნელი იმყოფებოდა თუ არა დანაშაულის ადგილზე, აშკარა წინააღმდეგობის გამო მის მონათხრობსა და მკვლელობის შემდეგ მოწმეების მ.მ. უმცროსის და დ.მ.-ს მიერ მიცემულ ჩვენებებს შორის, რომ მათ მკვლელობის შემდეგ მალევე ნახეს იგი სახლში და მას არ უხსენებია, რომ იყო დანაშაულის თვითმხილველი, მიუხედავად იმისა, რომ იგი მათთან ერთად გაემართა დანაშაულის ადგილისაკენ ტრაგიკული ამბის დასაზუსტებლად (იხ. პუნქტი 9 ზემოთ). მომჩივანი ამტკიცებდა, რომ ბ-ნ ვ.ნ.-ს ვერსია, რომ იგი წავიდა სახლში შვილის მკვლელობის საკუთარი თვალით დანახვის შემდეგ ისე, რომ არავისთვის არ შეუტყობინებია და არც მ.მ. უმცროსისთვის და დ.მ.-თვის არ უთქვამს, რომ იგი იყო დანაშაულის ჩადენის ადგილზე, მისი ვერსიის გასამყარებელი მტკიცებულების გარეშე, ბადებს სერიოზულ ეჭვებს იმასთან დაკავშირებით, რომ ის ნამდვილად იყო დანაშაულის თვითმხილველი. მომჩივანი შემდეგ ამტკიცებდა, რომ მას ჰქონდა ალიბი, კერძოდ, რომ იგი ნახეს მარტო სოფლის ცენტრში დაახლოებით მკვლელობის პერიოდში, და აღნიშნავდა, რომ ბ-ნი ვ.ნ. შეიძლება დანაშაულში მის ჩართვას ცდილობდა შურისძიების გამო. იგი ამტკიცებდა, რომ ვინაიდან მისი მთავარი არგუმენტები

სასამართლოს მიერ პასუხგაუცემელი დარჩა, პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯავრდება ეყრდნობოდა უბრალო ეჭვს, ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე, რაც არღვევდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 503-ე მუხლის მე-2 ნაწილს (იხ. პარაგრაფი 31 ქვემოთ).

18. 2006 წლის 21 სექტემბერს უზენაესმა სასამართლომ, რომელმაც საქმე განიხილა როგორც მეორე და საბოლოო ინსტანციის სასამართლომ, ძალაში დატოვა ქვედა ინსტანციის სასამართლოს განაჩენი. იგი ასაბუთებდა, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლო მოქმედებდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის შესაბამისად (იხ. პარაგრაფი 31 ქვემოთ), აგრეთვე მან სრულად და ობიექტურად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები. ქვედა ინსტანციის სასამართლოს განაჩენის ძალაში დატოვების დროს, უზენაესი სასამართლო სრულად დაეყრდნო დაზარალებულის მამის და სხვა მოწმეების ჩვენებებს, რომლებსაც მან უთხრა, რომ მომჩივანმა მოკლა მისი შვილი და სასამართლო ექსპერტიზის დასკვნას, თუმცა აღნიშნულმა სასამართლომ უპასუხოდ დატოვა მომჩივნის ყველა არგუმენტი, მათ შორის ის, რომ არცერთი ციტირებული მტკიცებულება არ ავლენდა დანაშაულში მის მონაწილეობას და რომ ქვედა ინსტანციის სასამართლომ რეაგირების გარეშე დატოვა მისი არგუმენტები ამასთან დაკავშირებით.

19. 2016 წლის მაისში, დაუზუსტებელ რიცხვში მომჩივანი ციხიდან გაათავისუფლეს.

#### **ბ. პატიმრობის პირობები და სამედიცინო მომსახურება საპატიმროში**

20. 2004 წლის 19 სექტემბერს მომჩივანი დააპატიმრეს და მოათავსეს თბილისის № 5 საპყრობილეში. სავარაუდოდ იგი ჰყავდათ გადაჭედულ საკანში, სადაც პატიმრებს მორიგეობით უწევდათ ძილი, და მას არ შეეძლო შხაპის მიღება თვეების განმავლობაში. საკანში ტუალეტი არ იყო გამოყოფილი საცხოვრებელი სივრციდან. მომჩივანი აგრეთვე ამტკიცებდა, რომ საკანში მღრღნელები იყვნენ.

21. 2005 წელს დაუდგენელ დღეს მომჩივანი გადაიყვანეს თბილისის პირველ საპატიმროში, სადაც მომჩივნის განცხადებით, ისეთივე პირობები იყო.



22. 2006 წლის 31 მარტს იგი თბილისის პირველი ციხიდან გადაიყვანეს რუსთავის ახლად აშენებულ № 6 საპატიმროში.

23. 2006 წლის 16 დეკემბერს მომჩივანი გადაყვანილ იქნა რუსთავის № 2 საპატიმროში. მისი მტკიცებით იქ ყოფნის პერიოდში იგი იმყოფებოდა საზიანო ნივთიერებების ემისიების ზემოქმედების ქვეშ ახლოს მდებარე ბეტონის ქარხნიდან. როგორც ჩანს, მას არ უჩივლია ციხის ხელმძღვანელობასთან მისი პატიმრობის პირობების რომელიმე ასპექტის შესახებ.

24. 2007 წლის 6 აპრილს მომჩივანი დააბრუნეს რუსთავის №6 საპატიმროში. ის დარჩა იმ საპატიმროში 2009 წლის 11 იანვრამდე, როდესაც ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს (იხ. პარაგრაფი 27 ქვემოთ).

25. საქმის მასალებიდან არ ჩანს, რომ მომჩივანს წამოეჭრა რაიმე საკითხი ციხის ადმინისტრაციის ან შიდა ხელმძღვანელობის წინაშე მისი პატიმრობის პირობების შესახებ რომელიმე ზემოაღნიშნულ პენიტენციურ დაწესებულებაში.

26. 2007 წლის 6 აპრილს მომჩივნის რუსთავის № 6 საპატიმროში განმეორებით დაბრუნებისას (პარაგრაფი 23 ზემოთ) მან გაიარა სტანდარტული სამედიცინო შემოწმება და დაესვა ნეიროციტოკულატორული დისტონიის დიაგნოზი, თუმცა რაიმე სახის მკურნალობა არ დაუნიშნავთ. საქმის მასალებიდან არ იკვეთება, რომ მომჩივანმა ამ საკითხთან დაკავშირებით საჩივარი წარადგინა.

27. 2008 წლის 23 ივნისს მომჩივანმა, როგორც ჩანს პირველად, საჩივარი შეიტანა სასჯელაღსრულების დეპარტამენტში. ის უჩიოდა ტკივილებს თავის არეში და ამასთან დაკავშირებით მოითხოვა ჩაეტარებინათ მისთვის სამედიცინო გამოკვლევა. 2008 წლის 17 დეკემბერს, მომჩივნის საჩივრის გათვალისწინებით, რომ მთავრობამ მისი სამედიცინო ჩივილები, თავის ტკივილების ჩათვლით, რეაგირების გარეშე დატოვა, [ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს] სექციის ხელმძღვანელმა გადაწყვიტა მიეთითებინა მთავრობისთვის, რომ სასამართლოს რეგლამენტის 39-ე წესის თანახმად განხორციელებულიყო ყველა საჭირო ღონისძიება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაფასებლად. მთავრობის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან ჩანს, რომ 2008 წლის 28 ივლისს მომჩივანი შემოწმდა ნევროპათოლოგის მიერ თავის ტკივილებთან დაკავშირებით. მას დაუდგინდა ნეიროციტოკულატორული დისტონია, ჰიპერტენზიული ჰიდროცეფალიის სინდრომი და პოსტ-

ტრავმული ტვინის დაზიანება და დაენიშნა სათანადო მკურნალობა. მომჩივანი კვლავ უჩიოდა თავის ტკივილებს 2008 წლის 18 სექტემბერსა და 11 ნოემბერს. მომჩივნის მიერ 2009 წლის 29 იანვარს წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად იგი მოინახულა ნევროპათოლოგმა 2008 წლის ოქტომბერში, დაუდგენელ რიცხვში. რაც შეეხება 2008 წლის 11 ნოემბრის ჩივილს, მას არ მოჰყოლია რაიმე რეაგირება ხელმძღვანელობის მხრიდან. 2009 წლის 14 იანვარს მომჩივანი მოინახულა ნევროლოგმა და ჩაუტარდა თავის ქალის რენტგენი. ნევროლოგმა დაასკვნა, რომ არ შეინიშნებოდა პათოლოგიური ცვლილებები და მომჩივანს დაუნიშნა მკურნალობა თავის ტკივილისთვის. ამ დღის შემდეგ მომჩივანს თავის ტკივილთან დაკავშირებით აღარ დაუჩივლია. რაც შეეხება ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სხვა ჩივილებს, 2008 წლის 28 ოქტომბერს მომჩივანი გამოკვლეულ იქნა და მას დაუსვეს ნაღვლის ბუშტის ქრონიკული ანთების დიაგნოზი. 2008 წლის 19 ნოემბერს მას ჩაუტარდა ულტრაბგერითი შემოწმება, რამაც დაადასტურა ნაღვლის ბუშტის ქრონიკული ანთების დიაგნოზი. მომჩივანს დაენიშნა სათანადო მკურნალობა. 2012 წლის 8 თებერვალს დროებითი ღონისძიება მოიხსნა.

28. 2009 წლის 11 იანვარს მომჩივანი გადაიყვანეს ციხის საავადმყოფოში, სადაც მან გაიარა მთელი რიგი კვლევები და ტესტები. 2009 წლის 16 იანვარს მას დაუდგინდა ტუბერკულოზის დიაგნოზი. იმავე დღეს ის ჩართეს უშუალო მეთვალყურეობით მკურნალობის მოკლე კურსის (DOTS) პროგრამაში, რომელიც წარმოადგენს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ ტუბერკულოზის გამოვლენისა და მკურნალობისათვის რეკომენდირებულ სტრატეგიას.

29. 2009 წლის 12 თებერვალს მომჩივანი მოათავსეს ქსანში ტუბერკულოზით დაავადებული პატიმრებისთვის განკუთვნილ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

30. 2009 წლის 9 ივლისს იგი გადმოყვანილ იქნა თბილისის №1 საპატიმროში და 2009 წლის 21 სექტემბერს წარმატებით დაასრულა მკურნალობა DOTS პროგრამის ფარგლებში.

## II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და სხვა ეროვნული და საერთაშორისო დოკუმენტები

31. საქართველოს კონსტიტუციაში (1995), შესაბამის პერიოდში, ვკითხულობთ შემდეგს:

### მუხლი 40 § 3

„დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ“.

32. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1998), იმ დროს მოქმედ რედაქციაში, ვკითხულობთ:

### მუხლი 10: უდანაშაულობის პრეზუმფცია

“...3 დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს.

4. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭვმიტანის და ბრალდებულის სასარგებლოდ“.

### მუხლი 18: საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევა

„1. გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე და სასამართლო ვალდებული არიან უტყუარად დაადგინონ, მოხდა თუ არა დანაშაული, ვინ ჩაიდინა იგი, და გაარკვიონ მტკიცების საგნის ყველა სხვა გარემოება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით.

2. საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა იყოს ყოველმხრივი, ობიექტური და სრული. ერთნაირი გულმოდგინებით უნდა გაირკვეს ეჭვმიტანილისა ან ბრალდებულის როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი, აგრეთვე მათი პასუხისმგებლობის დამამძიებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი.

3. ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და დამცველის ყველა განცხადება და საჩივარი უდანაშაულობისა თუ ნაკლები ბრალის, დანაშაულში სხვა პირთა მონაწილეობის, დანაშაულის გამოძიების ან სასამართლოში საქმის განხილვის დროს კანონიერების სხვა დარღვევების თაობაზე გულდასმით უნდა შემოწმდეს“.

### მუხლი 503 § 2

„გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი. იგი დგინდება მხოლოდ იმ პირობით, თუ სასამართლო განხილვის დროს

დამტკიცდა განსასჯელის მიერ დანაშაულის ჩადენა უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე...”

## სამართალი

### I. კონვენციის მე-3 მუხლის საგარეუდო დარღვევა

33. მომჩივანი დავობდა, რომ მისი პატიმრობის პირობები არაადეკვატური იყო და აგრეთვე საპატიმროში მას არ გაეწია სათანადო სამედიცინო მომსახურება. ის ეყრდნობოდა კონვენციის მე-3 მუხლს, რომელიც შემდეგნაირად იკითხება:

„არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას“.

34. მთავრობა არ დაეთანხმა ამ არგუმენტს.

#### ა. მხარეთა არგუმენტები

35. მთავრობა აღნიშნავდა, რომ მომჩივნის ჯანმრთელობის მდგომარეობა სათანადოდ მოწმდებოდა და პატიმრობის პერიოდში მას გაეწია შესაბამისი მკურნალობა სათანადო პროფესიონალი ექიმების მიერ. რაც შეეხება საჩივრებს ციხის არასათანადო პირობებთან დაკავშირებით, ისინი სრულიად დაუსაბუთებელი იყო.

36. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ საპატიმროში მისთვის გაწეული სამედიცინო ზედამხედველობა და მკურნალობა არ იყო საკმარისი, რაც მოიცავდა ტუბერკულოზის მკურნალობასაც და რომ პატიმრობის პირობები ნებისმიერ დაწესებულებაში, სადაც კი იგი იმყოფებოდა, არაადამაკმაყოფილებელი იყო.

#### ბ. სასამართლოს შეფასება

37. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივნის საჩივრები კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით ეხება მისი პატიმრობაში ყოფნის პირობებს და საპატიმროში სამედიცინო მომსახურების ადეკვატურობა. ეს საჩივრები ინდივიდუალურად უნდა იქნეს განხილული.

## 1. პატიმრობის პირობები

### (ა) პატიმრობა 2006 წლის 31 მარტამდე

38. სასამართლო მიუთითებს რა საკუთარ სასამართლო პრაქტიკაზე განმეორებით აღნიშნავს, რომ იგი არ თვლის პატიმრობის პირობებს განგრძობად სიტუაციად იმ გარემოებებში, როდესაც საჩივარი ეხება ეპიზოდს, მოპყრობას ან განსაკუთრებული პატიმრობის რეჟიმს, რომელიც თან ერთვის დადგენილი ვადით დაკავებას (იხ. *Ananyev and Others v. Russia*, nos. 42525/07 და 60800/08, §§ 76-78, 10 იანვარი 2012).

39. მომჩივანი დავობდა, რომ მისი პატიმრობის პირობები თბილისის №5 და თბილისის №1 საპატიმროში სრულიად არადაამაკმაყოფილებელი იყო, სხვებს შორის საკნის გადატვირთულობისა და სტანდარტული სანიტარული პირობების დაუცველობის გამო (იხ. 19-20 პარაგრაფები). სასამართლო აღნიშნავს იმ დროისთვის ახლად აშენებულ რუსთავის №6 ციხის პირობების ზოგადად დადებით შეფასებას, რომელიც გააკეთა წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო ევროპულმა კომიტეტმა (CPT) (იხ. *მირზაშვილი საქართველოს წინააღმდეგ*, № 26657/07, § 45, 7 სექტემბერი, 2017).

40. ამის გათვალისწინებით სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივნის დაკავება აღნიშნულ ორ საპატიმროში დასრულდა მისი გადაყვანით რუსთავის №6 საპატიმროში 2006 წლის 31 მარტს. წინამდებარე საჩივარი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში 2007 წლის 2 მარტს შევიდა.

41. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით სასამართლოს არ შეუძლია დაასკვნას, რომ იქ ადგილი ჰქონდა განგრძობად სიტუაციას. ამიტომ თვლის, რომ მომჩივნის საჩივრის ეს ნაწილი კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით შემოტანილი იყო ვადის დარღვევით და უარი უნდა ეთქვას კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად (იხ. *მირზაშვილი*, ციტირებული ზემოთ, §51; *გორგულაძე საქართველოს წინააღმდეგ* №4313/04, §§ 23-24, 20 ოქტომბერი, 2009; და *მაზანაშვილი საქართველოს წინააღმდეგ*, №19882/07, § 40, 28 იანვარი, 2014).

### (ბ) რუსთავის №6 საპატიმრო და შემდეგი პენიტენციური დაწესებულებები

42. მიუთითებს რა საკუთარ პრეცედენტულ სამართალზე საქართველოს საპატიმრო დაწესებულებებში პატიმრობის

პირობებთან დაკავშირებით, სასამართლო კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს წესს, რომლის მიხედვითაც, როდესაც მომჩივანს სურდა გაესაჩივრებინა საქართველოს ნებისმიერ საპატიმროში პატიმრობის სავარაუდოდ არასათანადო პირობები, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამგვარი საჩივრებისთვის არ იყო აუცილებელი რომელიმე კონკრეტული სისხლისსამართლებრივი ან სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის საშუალებების სრული და დეტალური გამოყენება (იხ შედარებისთვის *Aliev v. Georgia*, № 522/04, § 62 და 63, 13 იანვარი, 2009, და *Goginashvili v. Georgia*, no. 47729/08, §§ 54 და 57, 4 ოქტომბერი, 2011), მაინც საჭირო იყო, რომ, სულ ცოტა ერთი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსთვის მაინც მიეწოდებინათ ინფორმაცია მომჩივნის იმ სუბიექტური შეფასების შესახებ, რომ კონკრეტული პატიმრობის პირობები ლახავდა ან ამცირებდა მის ადამიანურ ღირსებას. თუ პირი, რომელსაც სურდა გაესაჩივრებინა მისი პატიმრობის პირობები, ეროვნულ დონეზე არ დაიცავდა ზემოხსენებულ წესს, ევროსასამართლოს ნამდვილად გაუჭირდებოდა მომჩივნის მიერ ამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ბრალდებების სანდოობის შეფასება (იხ., *რამიშვილი და კობრეიძე საქართველოს წინააღმდეგ*, № 1704/06, 26 ივნისი 2007, და *ჯანიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ*, №35887/05, § 70, 27 ნოემბერი 2012).

43. საქმეში არსებული მასალების გათვალისწინებით ევროსასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანს არც ერთხელ არ მიუწოდებია ინფორმაცია შესაბამისი ხელისუფლებისთვის მისი ყოფნის პირობების რომელიმე კონკრეტულ ასპექტთან დაკავშირებული უკმაყოფილების შესახებ. მიუხედავად ამისა, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ დავუშვებთ, რომ შესაბამის პერიოდში მომჩივანს ჰქონდა შიდასამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალება, რომლის გამოყენებაც მას შეეძლო (იხილეთ 41-ე პუნქტი ზემოთ), [სტრასბურგის] სასამართლოს წინაშე მიმდინარე პროცესის დროს, მისი არგუმენტები შემოიფარგლა ბუნდოვანი და ზოგადი სახის განცხადებებით. შესაბამისად, ევროსასამართლო ადგენს, რომ მომჩივანმა ვერ შეძლო მტკიცებულებების წარმოდგენა და თავისი საჩივრის სათანადოდ დასაბუთება (შეადარეთ, *სხვა მრავალ მსგავს დოკუმენტებთან ერთად*, საქმეები *მურშიჩი ხორვატიის წინააღმდეგ*[GC], № 7334/13, § 127, ECHR 2016; *ანანიევი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ*, ციტირებული ზემოთ, § 122, 2012 წლის 10

იანვარი; და *ილდანი საქართველოს წინააღმდეგ*, № 65391/09, §§ 26 და 27, 2013 წლის 23 აპრილი).

44. აქედან გამომდინარე, კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე მომჩივნის მიერ შეტანილი საჩივარი № 6 საპატიმროში მისი პატიმრობის პირობებთან დაკავშირებით აშკარად უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის (ა) ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის შესაბამისად.

## 2. სამედიცინო მკურნალობა საპატიმროში

45. სასამართლომ შეაჯამა საპატიმროებში სამედიცინო მომსახურების შესაბამისობასთან დაკავშირებული სათანადო ზოგადი პრინციპები საქმეებში: *ბლოხინი რუსეთის წინააღმდეგ* ([GC], № 47152/06, §§ 135-140, ECHR 2016, შემდგომი მითითებებით მასში); *გოგინაშვილი* (ციტირებული ზემოთ, §§ 69-70); *ირაკლი მინდაძე საქართველოს წინააღმდეგ* (№ 17012/09, §§ 39-40, 11 დეკემბერი, 2012); და *ჯელაძე საქართველოს წინააღმდეგ* (№ 1871/08, §§ 41-42, 18 დეკემბერი, 2012).

46. მომჩივანი დავობდა სამედიცინო ზედამხედველობისა და მკურნალობის ნაკლებობის გამო. [სტრასბურგის] სასამართლოს რეგლამენტის 39-ე წესის თანახმად დროებითი ზომის მითითების საპასუხოდ მთავრობის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან ჩანს, რომ მომჩივნის ჩივილებზე თავის ტკივილებთან დაკავშირებით მოხდა რეაგირება 2008 წლის 28 ივლისს (იხ. პარაგრაფი 26 ზემოთ). მომჩივანმა აღიარა, რომ 2008 წლის ოქტომბრის დაუდგენელ დღეს იგი მოინახულა ნევროლოგმა (იხ. იქვე). 2008 წლის 11 ნოემბრის თავის ტკივილებთან დაკავშირებულ საჩივარს არ მოჰყოლია დაუყოვნებლივი რეაგირება, თუმცა მომჩივანი ნევროლოგმა მოინახულა 2009 წლის 14 იანვარს და მას დაენიშნა სათანადო მკურნალობა. ამ თარიღის შემდეგ თავის ტკივილებთან დაკავშირებით მომჩივანს საჩივრები აღარ ჰქონია (იხ. იქვე). რაც შეეხება ნაღვლის ბუშტის ანთების სიმპტომებს, მათზე რეაგირება მოხდა 2008 წლის 28 ოქტომბერს და 19 ნოემბერს. მას დაესვა ნაღვლის ბუშტის ქრონიკული ანთების დიაგნოზი და დაენიშნა სათანადო მკურნალობა (იხ. იქვე).

47. რაც შეეხება ტუბერკულოზთან დაკავშირებულ მკურნალობას, სასამართლომ თავისი საკუთარი შესაბამისი სასამართლო პრაქტიკით უკვე აღიარა საქართველოს საპატიმროებში ტუბერკულოზის პრობლემის სერიოზულობა, ისევე

როგორც სკრინინგის როლი ტუბერკულოზის გავრცელების შესუსტებაში (იხ. *პოლოსოვი საქართველოს წინააღმდეგ* [კომიტეტი], № 33323/08, § 29, 26 ივნისი 2017, შემდგომი მითითებებით). სასამართლო აღნიშნავს, რომ მაშინ როდესაც მომჩივანს არ ჰქონდა ჩატარებული ტუბერკულოზის სკრინინგი მისი დაკავების საწყის პერიოდში, არ ჩანს, რომ მას ჰქონდა გამოთქმული მასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის რაიმე პრობლემები განსახილველ პერიოდში (საპირისპიროდ *Ildani*, ციტირებული ზემოთ, §§ 37-38, სადაც ქრონიკული ბრონქიტის დიაგნოზისა და სათანადო სამედიცინო შემოწმების მრავალგზის მოთხოვნის მიუხედავად, მომჩივანს არ ჩაუტარეს ტუბერკულოზის ტესტი თხუთმეტი თვის განმავლობაში). მომჩივანს საჩივარი არც იმასთან დაკავშირებით გამოუთქვამს, რომ კამერაში ტუბერკულოზით დაავადებულ პაციმართან ერთად იყო მოთავსებული (შესადარებლად იხ. *Vasyukov v. Russia*, № 2974/05, § 68, 5 აპრილი 2011).

48. ამის გათვალისწინებით სასამართლო აღნიშნავს, რომ როგორც კი მომჩივანს დაუდგინდა ტუბერკულოზის დიაგნოზი 2009 წლის 16 იანვარს, მთავრობამ ჩართო იგი მკურნალობის DOTS პროგრამაში და მკურნალობა წარმატებით დასრულდა 2009 წლის 21 სექტემბერს (იხ. პარაგრაფები 28-30 ზემოთ).

49. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ საჩივარი აშკარად უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს კონვენციის 35-ე მუხლის § 3 (ა) და 4 შესაბამისად.

## II. კონვენციის მე-6 მუხლის § 1 სავარაუდო დარღვევა

50. მომჩივანი დავობდა, რომ შიდასახელმწიფოებრივმა სასამართლოებმა ვერ წარმოადგინეს საკმარისი მიზეზები თავიანთი გადაწყვეტილებისათვის, რომლის მიხედვითაც იგი დამნაშავედ იქნა ცნობილი. მომჩივნის მტკიცებით, სასამართლოებმა უპასუხოდ დატოვეს მისი მთავარი არგუმენტები და ამით რისკის ქვეშ დააყენეს სამართალწარმოების სამართლიანობა. მომჩივანი ემყარებოდა კონვენციის მე-6 მუხლის § 1, სადაც ვკითხულობთ შემდეგს:

„მის წინააღმდეგ რაიმე სისხლისსამართლებრივი ბრალდების განსაზღვრისას, ყველას აქვს უფლება, მისი საქმე განხილულ იქნას სამართლიანად სასამართლოს მიერ“.

51. მთავრობა შეედავა ამ არგუმენტს.



## ა. დასაშვებობა

52. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემული საჩივარი აშკარად უსაფუძვლო არ არის კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის (ა) ქვეპუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ არ არსებობს საჩივრის დაუშვებლობის რაიმე სხვა საფუძველი. შესაბამისად, საჩივარი დასაშვებად უნდა გამოცხადდეს.

## ბ. არსებითი განხილვა

### 1. მხარეთა არგუმენტები

53. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებებში არ იყო წარმოდგენილი მომჩივნის დამნაშავეობის სათანადო მიზეზები. იგი ამტკიცებდა, რომ დაზარალებულის მამის მიერ მიცემული ჩვენება - ერთადერთი საყრდენი მტკიცებულება, რომელიც მიუთითებდა დანაშაულში მის მონაწილეობაზე - მოიცავდა ისეთ აშკარა წინააღმდეგობებს და გაურკვევლობებს, რომ დანაშაულის ადგილზე მისი ყოფნა კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა და საჭირო იყო ამ საკითხს ცალსახა პასუხი გაცემოდა. შესაბამისად, ეროვნული სასამართლოები დაეყრდნენ ამ უდავო ჩვენებას სხვა მტკიცებულებების არ არსებობისას და ასევე ამასთან დაკავშირებით უპასუხოდ დატოვეს მომჩივნის არგუმენტები, რამაც მის წინააღმდეგ წარმოებული სამართალწარმოების სამართლიანობა ეჭვის ქვეშ დადგა. მომჩივანი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მისი არგუმენტები მის ალიბთან დაკავშირებით არ იყო სათანადოდ შეფასებული.

54. მთავრობა აცხადებდა, რომ შიდასახელმწიფოებრივმა სასამართლოებმა სათანადოდ განიხილეს საქმის მასალებში არსებული ყველა მტკიცებულება და გამოიტანეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

### 2. სასამართლოს შეფასება

55. სასამართლო კვლავ აცხადებს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს შიდასახელმწიფოებრივ სასამართლოებს საკმარისი სიზუსტით აჩვენონ თავიანთი გადაწყვეტილებების მიზეზები (იხ. *Taxquet v. Belgium* [GC], № 926/05, § 91, ECHR 2010, და *Nikolay Genov v.*

*Bulgaria*, № 7202/09, § 27, 13 ივლისი, 2017). გადაწყვეტილების მიზეზების წარმოდგენის ვალდებულების მოცულობა განსხვავდება გადაწყვეტილების ბუნების მიხედვით და უნდა განისაზღვროს საქმის გარემოებებიდან გამომდინარე (იხ. *Ruiz Torija v. Spain*, 9 დეკემბერი 1994, § 29, Series A № 303-A; *García Ruiz v. Spain* [GC], № 30544/96, § 26, ECHR 1999-I; და *Moreira Ferreira v. Portugal* (no. 2) [GC] (№ 19867/12, § 84, 11 ივლისი 2017).

56. მომჩივნის მიერ ყოველ წამოყენებულ არგუმენტზე დეტალური პასუხის მოთხოვნის გარეშე (იხ. *Fomin v. Moldova*, № 36755/06, § 31, 11 ოქტომბერი 2011), ეს ვალდებულება წინასწარვე ვარაუდობს, რომ მხარეებს აქვთ კონკრეტული და ზუსტი პასუხის მიღების მოლოდინი არგუმენტებზე, რომლებიც გადამწყვეტია სამართალწარმოების შედეგისთვის (იხ. სხვა ინსტანციებს შორის, *Moreira Ferreira*, ციტირებული ზემოთ, § 84; *Tchankotadze v. Georgia*, № 15256/05, § 103, 21 ივნისი, 2016; და *Deryan v. Turkey*, no. 41721/04, § 33, 21 ივლისი, 2015). გადაწყვეტილებიდან უნდა ჩანდეს, რომ საქმეში არსებული საკვანძო საკითხები განხილულ იქნა (see *Boldea v. Romania*, № 19997/02, § 30, 15 February 2007, and *Uche v. Switzerland*, № 12211/09, § 37, 17 აპრილი, 2018).

57. წინამდებარე საქმის გარემოებებთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მოახდინა, თუნდაც მოკლედ, მაგრამ მიმოიხილა მომჩივნის არგუმენტი ალიბთან დაკავშირებით. ეროვნულმა სასამართლომ განმარტა, რომ დაცვის მოწმეების მიერ მიცემული ჩვენებები იყო ურთიერთსაწინააღმდეგო და ამის გამო ეს ჩვენებები ჩაითვალა არასანდოდ (იხ. პუნქტი 15 ზემოთ).

58. ამის საპირისპიროდ, მომჩივნის მიერ ეროვნული სასამართლოების წინაშე წამოყენებულ ორ მთავარ არგუმენტს არ გაეცა ზუსტი პასუხი. პირველი - მომჩივანი დავობდა, რომ საქმეზე სხვა ბრალდებულისაგან განსხვავებით მტკიცებულების არც ერთი ნაწილი, რომელიც ეხებოდა მას და მის სავარაუდო ქმედებებს, არ ცხადყოფდა დანაშაულში მის მონაწილეობას; და მეორე, მომჩივანი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მკვლელობის შემდეგ მალევე მსხვერპლის მამა სახლში ნახეს, თითქოს მან არ იცოდა შვილის მკვლელობის ამბავი (იხ. პარაგრაფი 9 ზემოთ); გაუგებარი იყო რატომ აჩვენებდა ის თავს, რომ მისთვის არ იყო ცნობილი შვილის მკვლელობის ამბავი. ეს სწორედ ღიად ბადებს ეჭვს, იყო თუ არა იგი ნამდვილად დანაშაულის თვითმხილველი. ამ გარემოებებზე

დაყრდნობით მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მის წინააღმდეგ არსებული ბრალდება მოკლებული იყო ყოველგვარ ფაქტობრივ და მტკიცებულებით საფუძველს და დამყარებული იყო უბრალო ეჭვზე, რაც არღვევდა შესაბამის კანონმდებლობას (იხ. პარაგრაფები 16 და 30-31 ზემოთ).

59. სასამართლო განმეორებით ამტკიცებს, რომ მის ამოცანას არ წარმოადგენს იმ მეთოდის შემოწმება, რომლითაც ეროვნული სასამართლოები აფასებენ ექსპერტის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებსა და მოწმის მტკიცებულებებს. [სტრასბურგის] სასამართლო არც იმისთვის არის მოწვეული, რომ დაადგინოს ეროვნული სასამართლოების მიერ მსჯავრდებული პირის ბრალეულობა ან უდანაშაულობა, ეს საკითხი ეროვნული სასამართლოების კომპეტენციას მიეკუთვნება (იხ. *mutatis mutandis*, *Rohlena v. the Czech Republic* [GC], № 59552/08, § 55, ECHR 2015, და *Popov v. Russia*, № 26853/04, § 188, 13 ივლისი, 2006). ამასთანავე სასამართლო აღიარებს, რომ ასეთ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლოს, რომელიც ბრალდებულის დამნაშავეობის განსასაზღვრად ეყრდნობა მოწმის ჩვენებას, შეუძლია დაეყრდნოს უშუალო კონტაქტს მოწმესთან, რომლის ჩვენების საიმედოობაც მან სათანადოდ უნდა შეაფასოს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისდიქციის ფარგლებშია შეაფასოს, შეესაბამებოდა თუ არა კონვენციას სასამართლო პროცესები მთლიანობაში, რაც მოიცავს ეროვნული სასამართლოების ვალდებულებას, დაასაბუთონ თავიანთი გადაწყვეტილებები. ამის გათვალისწინებით სასამართლო დაიწყებს მომჩივნის საჩივრის შეფასებას კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის შესაბამისად.

60. სასამართლო თვლის, რომ მომჩივნის მიერ ეროვნული სასამართლოების წინაშე წამოყენებული ორი არგუმენტი (იხ. პარაგრაფი 57 ზემოთ) უკავშირდებოდა მის მიმართ წარდგენილი სისხლის სამართლის საქმის ძირითად ნაწილს და მოითხოვდა კონკრეტულ და ზუსტ პასუხს. თუმცა არცერთ ეროვნულ სასამართლოს აღნიშნული პასუხი არ გაუცია. ეროვნული სასამართლოების მიერ გაცემული ზოგადი პასუხი, რომ „საქმის მასალებში არსებული ყველა მტკიცებულება“ საკმარისი იყო მომჩივნის დამნაშავედ ცნობისთვის, არ შეიძლება ჩაითვალოს მომჩივნის მიერ სასამართლოებისადმი წარდგენილ არგუმენტებზე კონკრეტულ და ზუსტ პასუხად. ფაქტობრივად ასეთი პასუხი

წინამდებარე საქმის ფაქტებზე წარმოადგენს დასაბუთების აშკარა ნაკლებობას ეროვნული სასამართლოების მხრიდან, ექსპერტების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების არცერთი ნაწილი არ მიუთითებდა მომჩივნის დამნაშავეობაზე და ერთადერთი თვითმხილველის ჩვენება არაერთხელ იქნა გასაჩივრებული იმის გამო, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა მისი უტყუარობა და მტკიცებულებითი ღირებულებას. აქედან გამომდინარე, ეროვნულმა სასამართლოებმა მომჩივნის დასაბუთებულ არგუმენტებს, ვერცერთი ფორმით, პასუხი ვერ გასცეს (იხ. *Fomin*, ციტირებული ზემოთ, § 30, და საპირისპიროდ *Kuparadze v. Georgia*, №. 30743/09, §§ 72-73, 21 სექტემბერი, 2017).

61. ასეთ გარემოებებში სასამართლო ადგენს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა მომჩივნის სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის გამოტანისას ვერ შეასრულეს სამართლიანი განხილვის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა, კერძოდ, წარმოედგინათ გადაწყვეტილების მიღების ადეკვატური მიზეზები. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი.

### III. კონვენციის სხვა სავარაუდო დარღვევები

62. მომჩივანე აგრეთვე დავობდა, რომ დაერღვა კონვენციის მე-5 მუხლის §§ 1 (c), 2 და 3 პუნქტები, მისი წინასწარი პატიმრობის კანონიერებასა და საფუძვლიანობასთან დაკავშირებით. მომჩივნის წინასწარი პატიმრობა 2006 წლის 8 მაისს დასრულდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მისი მსჯავრდებით (see, *მათ შორის, Labita v. Italy* [GC], № 26772/95, § 147, ECHR 2000-IV; *Kalashnikov v. Russia*, №.47095/99, § 110, ECHR 2002-VI; და *Jeladze*, ციტირებული ზემოთ, § 52). ვინაიდან განაცხადი სასამართლოში შეტანილი იქნა 2007 წლის 2 მარტს, იგი იქნება დაუშვებელი ექვსთვიანი წესის დარღვევის გამო და არ მიიღება კონვენციის 35-ე მუხლის §§ 1 და 4 საფუძველზე.

63. რაც შეეხება მომჩივნის საჩივარს კონვენციის მე-6 მუხლის §§ 1 და 3 (ბ) მიხედვით, იმასთან დაკავშირებით, რომ შიდასახელმწიფოებრივმა სასამართლოებმა სავარაუდოდ ვერ უზრუნველყვეს მხარის დასწრება სასამართლო პროცესზე, რათა დანაშაულის დღეს განვითარებულ მოვლენებს ნათელი მოფენოდა, მომჩივანმა სასამართლოს წინაშე აღიარა, რომ მისი ადვოკატი ინფორმირებული იყო ამის თაობაზე. საჩივარი აშკარად

უსაფუძვლოა და უარი უნდა ეთქვას კონვენციის 35-ე მუხლის § 3 (a) და 4 შესაბამისად.

#### IV. შესაბამისობა კონვენციის 34- მუხლთან

64. მომჩივანი დავობდა, რომ მთავრობამ დაარღვია კონვენციის 34-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები დროებითი ღონისძიებების კონტექსტში, რომლის ფარგლებშიც მთავრობას სასამართლოს რეგლამენტის 39-ე წესის თანახმად მიეთითა მომჩივნისთვის ადეკვატური სამედიცინო მომსახურების გაწევა. თუმცა სასამართლოს დასკვნის გათვალისწინებით (იხ. პარაგრაფები 44-48 ზემოთ), რომ მომჩივანს გაეწია ადეკვატური სამედიცინო მომსახურება, არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ვერ შეასრულა კონვენციის 34-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები.

#### V. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

65. კონვენციის 41-ე მუხლში ნათქვამია:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს“.

##### ა. ზიანი

66. მომჩივანმა მორალური ზიანისთვის მოითხოვა ანაზღაურება 7 000 000 ევროს ოდენობით.

67. მთავრობამ ეს მოთხოვნა ჩათვალა გადაჭარბებულად და დაუსაბუთებლად.

68. იხელმძღვანელა რა სამართლიანობის პრინციპით, სასამართლომ მომჩივანს მორალური ზიანისთვის 3 600 ევრო მიაკუთვნა.

##### ბ. გაწეული ხარჯები და დანახარჯები

69. სასამართლოში გაწეული ხარჯებისა და დანახარჯების ასანაზღაურებლად მომჩივანმა 7 000 000 ევრო მოითხოვა.

70. მთავრობამ განაცხადა, რომ მოთხოვნა იყო გადაჭარბებული და დაუსაბუთებელი.

71. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მომჩივანს უფლება აქვს გაწეული ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურება მიიღოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურებულია, რომ ისინი გაწეულია რეალურად და საჭიროებისამებრ და თუ მოთხოვნილი კომპენსაციის თანხა არის გონივრულ ფარგლებში. მოცემულ საქმეში სათანადო დოკუმენტების არ არსებობისა და ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით სასამართლომ დაადგინა, რომ არ განხორციელდეს თანხის ანაზღაურება.

### გ. საურავი

72. სასამართლო მიიჩნევს, რომ საურავის განაკვეთი უნდა დადგინდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც უნდა დაემატოს სამი პროცენტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად

1. *აცხადებს* დასაშვებად კონვენციის მე-6 მუხლის § 1 საფუძველზე წარმოდგენილ საჩივარს შიდასახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების არაადეკვატურ დასაბუთებასთან დაკავშირებით, ხოლო საჩივრის დანარჩენ ნაწილს დაუშვებლად.
2. *ადგენს*, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი;
3. *ადგენს*, რომ მოპასუხე სახელმწიფოს არ დაურღვევია თავისი ვალდებულებები კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად;
4. *ადგენს*
  - (ა) რომ მოპასუხე სახელმწიფო ვალდებულია, კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დღიდან სამი თვის ვადაში, გადახდის დღეს არსებული კურსით, მოპასუხე სახელმწიფოს ეროვნულ ვალუტაში, მომჩივანს გადაუხადოს 3 600 (სამი ათას ექვსასი) ევრო

მორალური ზიანისთვის და ნებისმიერი გადასახადი, რომელიც შეიძლება ამ თანხასთან იყოს დაკავშირებული; და  
(ბ) რომ ზემოთ ხსენებული სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ თანხის სრულ ანაზღაურებამდე, ზემოთ აღნიშნულ თანხებს საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის შესაბამისი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება სამი პროცენტი;

5. უარს ამბობს მომჩივნის მოთხოვნის დარჩენილ ნაწილზე სამართლიან კომპენსაციასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და მხარეებს ეცნობათ წერილობით 2018 წლის 8 ნოემბერს სასამართლოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

კლაუდია ვესტერდიკი  
სექციის განმწესრიგებელი

ანგელიკა ნუსპერგერი  
პრეზიდენტი